

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს  
2017 წლის 25 იანვრის №20 სხდომის

**d a d g e n i l e b a №1**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 25 იანვრის №20 სხდომაზე სტუ-ის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ბექა მაისურაძემ წარმოადგინა საკითხი სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მოწონებულ იქნეს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებაში შესატანი ცვლილებების პროექტი და დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს  
სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2017 წლის 25 იანვრის №20 სხდომის

**d a d g e n i l e b a №2**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 25 იანვრის №20 სხდომაზე პროფ. ზურაბ გასიტაშვილმა წარმოადგინა საკითხი ალმასებისა და კომპოზიციური მასალების სამეცნიერო ცენტრისათვის საშტატო ერთეულების გამოყოფისა და დაფინანსების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №2274.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

- 1) დაუფინანსდეს ალმასებისა და კომპოზიციური მასალების სამეცნიერო ცენტრს ერთი უფრ. მეცნიერი თანამშრომლის (თ. ფხალაძე – 650 ლარი) და ორი უფროსი სპეციალისტის (ო. თაყაძე, ზ. ავალიშვილი) საშტატო ერთეული ერთი წლის ვადით, 2017 წლის 9 იანვრიდან;
- 2) დაენიშნოს აღნიშნული ცენტრის ხელმძღვანელს, პროფ. ნ. ლოლაძეს ხელფასი თვეში 1200 ლარის ოდენობით ერთი წლის ვადით, 2017 წლის 9 იანვრიდან;
- 3) წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საბჭოს მხრიდან ფინანსური უზრუნველყოფის შემთხვევაში.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გაბოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2017 წლის 25 იანვრის №20 სხდომის

**d a d g e n i l e b a №3**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 25 იანვრის №20 სხდომაზე სტუ-ის საგეგმო-საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა კონსტანტინე ქურციკიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის 2017 წლის დამტკიცებულ ნაერთ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: დამტკიცდეს სტუ-ის 2017 წლის დამტკიცებულ ნაერთ ბიუჯეტში შესატანი ცვლილება, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 13 იანვრის №81 ბრძანებისა და 2017 წლის 18 იანვრის №MES 3 17 00035765 წერილის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დაფინანსებას, სტუ-ის ანგარიშზე ჩაირიცხა 219 900 ლარი - ბაკალავრიატის პროგრამებზე აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობის 4 %-ის (733 სტუდენტი) იანვრისა და თებერვლის თვეებში სტიპენდიით უზრუნველსაყოფად. შესაბამისად 219 900 ლარით გაიზარდოს საშემოსავლო ნაწილი, ხოლო გადასახდელებში გაიწეროს ამავე სახელწოდების პროგრამის „სხვა ხარჯების“ მუხლის „სახელმწიფო სასწავლო სტიპენდიების ხარჯის“ პუნქტში.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე